**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა**

# ოქმი №3

ქ. მარტვილი 12 აპრილი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო $12^{00}$ სთ-ზე, დამთავრდა $13^{00}$ სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია.
სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

**დღის წესრიგი:**

1.ქალაქ მარტვილში, თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ს/კ: 41.09.37.115.01.504 არასაცხოვრებელი 20 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი- ზურაბ მელიავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.
**მოისმინეს 1:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მელიავას მოხსენება, ქალაქ მარტვილში, თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ს/კ: 41.09.37.115.01.504 არასაცხოვრებელი 20 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის

ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საუბარი იყო აღნიშნული შენობის პირველ სართულზე არსებული ფართის ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემაზე.
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
**აზრი გამოთქვეს:** მიხეილ ნაჭყებიამ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება აღნიშნული ფართის ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემას რადგან აღნიშნული ფართი ისედაც გამონთავისუფლებულია და მარტვილის მუნიციპალიტეტი დღემდე არ სარგებლობს.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ მარტვილში, თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ს/კ: 41.09.37.115.01.504 არასაცხოვრებელი 20 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** მოწონებულ იქნას ქალაქ მარტვილში, თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ს/კ: 41.09.37.115.01.504 არასაცხოვრებელი 20 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი"-სთვის არსებობის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა